მეფე და მეზაღე

იყო მეფე ერთი და აქვნდა წალკოტი, ვითა ჰშვენოდა.

მოვიდა მეზაღე და მოახსენა მეფესა:

– ვარდსა შიგან ბულბულს ბუდე დაუცს.

მეფემ უბრძანა:

– არა შერჩეს ბულბულსა მაგისი ქმნა!

გამოხდა ხანი. მოვიდა მეზაღე და მოახსენა მეფესა:

– ბულბულმან ბარტყნი დაჩიკნა; მოვიდა გველი, ბულბულიც შეჭამა და ბარტყებიცა.

უბრძანა მეფემა:

– არცა გველს შერჩეს მაგისი ქმნა!

კიდევ მოვიდა მეზაღე და მოახსენა:

– შამბსა ვთიბდი და გველი შემომაკვდა, მანგლით დავჭერ.

უბრძანა მეფემან:

– არც შენ შეგრჩეს!

მეფემ დაითხოვნა კაცნი და ჯალაბეურ წალკოტში ლხინი მოინება.

მეზაღე ერთს ხეზე გავიდა და დაიმალა, სცნეს ხადუმთა, პოვეს

და მეფეს მოგვარეს. მეფემ სიკვდილი ბრძანა.

მეზაღემ მოახსენა: ვითა ჩვენ არ შეგვრჩა ბრძანებისაებრ შენისა, აღარც შენ შეგრჩეს სიკვდილი ჩემიო!

გაეცინა მეფესა და აღარ მოკლა.

– ღვთით, იმედი მაქვს, არც თქვენ შეგრჩესთ ჩემი წახდენა, თვარა ჩემს საქმეს მე ვხედავ, რაც მაცან თავსაო.

თქვა ჯუმბერ არაკი: